



დარიალის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი

**დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ზემოქმედება დარიალის ხეობისა
და თერგის ესთეტიკურ ფასეულობაზე**

თბილისი 2014

თავი 1. დარიალის ხეობა და თერგი ქართულ და მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში

დარიალის ხეობა, რომელიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ ანტიკური ხანის გეოგრაფიისათვის, პლინიუს უფროსი (23-79) მას იხსენებს, როგორც *Porte Caucasia*-ს კავკასიის კარი და *Porta Hiberiae* (იბერთა კარი), პტოლემეოსი (90-160) – *Sarmarikai Pulai* (სარმატების კარი), თავისი ბუნებით და ლანდშაფტით საუკუნეების მანძილზე იყო და არის შთაგონების წყარო.

ცისკენ აღმართული ციცაბო კლდეები და მრისხანე თერგი ტოვებენ წარუშლელ შთაბეჭდილებას - რაც აღიბეჭდება მრავალი პოეტის და მხატვრის შემოქმედებაში - კერძოდ, XIX საუკუნეში აღსანიშნავია გრ. ორბელიანის ლექსი „სადამო გამოსალმებისა“- (1841წ.); ი. ჭავჭავაძის „აჩრდილი“-1859; მგზავრის წერილები; ალ. პუშკინის „კავკასიონი“ და „ჩამოზვავება“; მიხ. ლერმონტოვის „დემონი“, „თამარი“, „თერგის ჩქერები“, „ტაძარი ყაზბეგის მთაზე“.

XX საუკუნეში აღსანიშნავია გ. ტაბიძის ლექსი „დარიალის ვიწრო კლდეებში“ და ტ. ტაბიძის „რომ იყოს თერგი ორი ამდენი“ (1939); გ. ჩოხელის „თერგი“, ო. ლუდუშაურის „ეკ დარიალო“, ვ. გაფრინდაშვილის „დარიანული“.

XXI საუკუნეში აღსანიშნავია ვ. ჯავახაძის ლექსი „ერთხელ მაინც“; ალბანელი პოეტის ალ. ჩაჩის ლექსი თერგზე და სხვა.

დარიალის ხეობა შთაბეჭდავი იყო არა მარტო პოეტებისათვის, არამედ მხატვრებისთვისაც. დარიალის ხეობას მიუძღვნეს თავისი ტილოები ისეთმა მსოფლიოში გამოჩენილმა მხატვრებმა, როგორებიც იყვნენ არქიფ კუინჯი, ივ. აივაზოვსკი, პეტრე ვერეშჩაგინი, ილია ზანკოვსკი და სხვანი. ამ ტილოებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კუინჯის ტილო „დარიალის ხეობა“, „მთვარიანი ღამე“ (1895). ეს ტილო მსოფლიო ფერწერის შედეგია. მან უდიდესი წვლილი შეიტანა იმპრესიონიზმის ხელოვნების განვითარებაში რუსეთში.

დარიალი ჰესის პროექტის გავლენის ზონაში მოქცეულია მდ. თერგის დაახლოებით 8 კმ-იანი მონაკვეთი დაბა სტეფანწმინდიდან მდ. ბროლისწყლის შესართავამდე. მდინარის ხეობის საპროექტო მონაკვეთი დაახლოებით 2 კილომეტრ სიგრძეზე შედარებით გაშლილია და მარჯვენა სანაპიროზე წარმოდგენილია მდინარისპირა ჭალისათვის დამახასიათებელი ლანდშაფტი. ამის შემდეგ მდ. თერგი შედის ღრმა და ვიწრო კლდოვან კანიონში, რომლის ორივე მხარს აღმართულია 1000 მ-მდე სიმაღლის ციცაბო კლდეები, რაც განსაკუთრებულ ვიზუალურ ეფექტს აძლევს ხეობას.

მდ. თერგის საპროექტო სათაო ნაგებობის შემდეგ ერთვის რამდენიმე მცირე და დიდი შენაკადი, რომელთაგან წყალუხვობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მდ. დევდორაკი, რომელიც სოფ. გველეთთან მარჯვნიდან ერთვის თერგს.

კლდოვანი ფერდობების არსებობის და მნიშვნელოვანი ანთროპოგენური დატვირთვის გამო, ხეობაში მცენარეული საფარი ძალზე მწირადაა წარმოდგენილი, რაც ასევე განაპირობებს ცხოველთა საბინადრო ადგილების სიმცირეს.

ხეობაში წარმოდგენილია არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ერთი მათგანი არ ხვდება სამშენებლო სამუშაოების ზონაში და შესაბამისად მათზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, დარიალის ხეობა სისტემატურად განიცდიდა ანთროპოგენულ ზემოქმედებას, რაც დაკავშირებული იყო სხვადასხვა ინფრასტრუქტურის ობიექტების (საავტომობილო გზა, ბუნებრივი აირის 2 მილსადენი, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი და სხვა) მშენებლობასა და ექსპლუატაციასთან. მდ. თერგის საპროექტო მონაკვეთზე დღეისათვის ფუნქციონირებს ლარსი ჰესის სათაო ნაგებობა, ხოლო მდ. ბროლისწყლის შესართავის ქვემოთ განთავსებულია ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის ინფრასტრუქტურა.

მიუხედავად გარკვეული ტექნოგენური დატვირთვისა, დარიალის ხეობაში შენარჩუნებულია მისთვის დამახასიათებელი თვითმყოფადი ლანდშაფტი, რაც უპირატესად თითქოსდა ცამდე აზიდული ციცაბო კლდეებით და მათზე დაკიდული ჭიუხებითაა განპირობებული.

თავი 2. დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედება რეგიონის ესთეტიკურ ფასეულობაზე

პროექტის საკონსულტაციო საქმიანობის პერიოდში, დაინტერესებულ მხარეებმა გამოთქვეს შეშფოთება იმის შესახებ, რომ „დარიალი ჰესი“-ს მშენებლობის და მისი შემდგომი ფუნქციონირების შედეგად, დარიალის ხეობის ზკმ-იანი მონაკვეთი წყლის გარეშე რჩება, რაც რადიკალურად შეცვლის მის ლანდშაფტს, ხეობა დაკარგავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ-ეთნოგრაფიულ ფასეულობას. მათ განაცხადეს, რომ დარიალის ხეობა ვეღარ მიიზიდავს მოგზაურებსა და ტურისტებს, დაკნინდება თერგის როლი, რომელიც დარიალის ხეობის სიდიადის აღწერისას დომინირებდა და შთაგონების წყაროდ ევლინებოდა კულტურისა და საზოგადოების ცნობილ მოღვაწეებს. მათი პროგნოზით, ჰესის მშენებლობა უარყოფითად აისახება ტურიზმზე და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანების შემოსავალზე.

ამის გათვალისწინებით, პროექტმა დაასრულა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ზემოქმედების შეფასება, რომელიც მოიცავს ვიზუალური ზემოქმედების და მდინარის ნაკადის მდგომარეობის შეფასებას. „დარიალი ჰესი“-ს მშენებლობის და მისი ფუნქციონირების ფიზიკურ, ბიოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში წარმოდგენილი ჰიდროლოგიური შეფასების, ეკოლოგიური რეკომენდაციების და სამოქმედო გეგმის მიხედვით, არ არის მოსალოდნელი დარიალის ხეობის ლანდშაფტის ისეთნაირი შეცვლა, რომ მან მნახველის აღქმაზე მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა.

სადაც ვიზუალური ზემოქმედება შესამჩნევია, კომპანიამ იკისრა ამ ზემოქმედების შერბილების ვალდებულება ხე-მცენარეების საფარის დარგვის და პროექტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სახით. ზოგიერთ შემთხვევაში, პროექტის მიერ მიღებული ზომები, გაუმჯობესებს ადგილმდებარეობის ვიზუალურ კეთილმოწყობას, როგორც არის, მაგალითად, ნარჩენების მოშორება მდინარის ნაპირებთან. რაც შეეხება შთაგონებისა და ემოციური მუხტის ხარისხის შესუსტებას, ეს ძალზედ სუბიექტურია და პიროვნების მოთხოვნილებაზე, გემოვნებასა და პირად შეხედულებაზეა დამოკიდებული. ამავე დროს, ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს შერწყმულს ლანდშაფტთან, თავისი ხიბლიც კი შეიძლება ჰქონდეთ. ამასთანავე, თუ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია განხორციელდება ეკოლოგიური შეზღუდვების გათვალისწინებით, პრაქტიკულად არ არის მოსალოდნელი დარიალის ხეობის ლანდშაფტის ვიზუალური აღქმის და შთაგონების ხარისხის შეცვლა.

ასევე, ვერ ვეთანხმებით ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებულ ოპონენტების პესიმისტურ პროგნოზს ტურიზმის განვითარების შესახებ. ჩვენი ხედვა საპირისპიროა, ჰესების მშენებლობა დარიალის ხეობაში ტურიზმის განვითარების პროცრესს გაააქტიურებს.

ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების და რეგიონის კულტურულ-ეთნოგრაფიული ღირებულების შესაფასებლად, ქვომოთ მოცემულია დარიალის ხეობის განვითარების მოკლე ისტორია.

დარიალის ხეობის შესახებ მიღებული ცნობები ჯერ კიდევ ძ.წ. VI საუკუნით თარიღდება. ანტიკური ხანის გეოგრაფების წყაროებში იგი იხსენიება, როგორც კავკასიის კარი, იბერთა კარი (Porta Caucasia, Porta Hiberiae, პლინიუს უფროსი, 23-79 წწ.), სარმატების კარი Sarmatikai Pulai, პტოლემეაოსი, 90-160 წწ.). ხეობაზე უძველესი დროიდან გადიოდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი ძალზე ვიწრო და ძნელი გზა. დარიალის ხეობას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა - რომის იმპერია, ბიზანტია, არაბები და წინა აზიის სხვა დიდი სახელმწიფოები ცდილობდნენ თავისი გავლენა დაემკვიდრებინათ ამ რეგიონში. იბერიის მეფეების (მირიან I-ის ძვ.წ. III-II საუკ.), ვახტანგ გორგასლის (V საუკუნე) მიერ აქ თავდაცვითი ხასიათის მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები იყო აშენებული. XII საუკუნეში ამ გზით აქტიურად სარგებლობდა საქართველოს სახელოვანი მეფე დავით IV აღმაშენებელი. დარიალის ხეობა ცეცხლითა და მახვილით გაიარა მონღოლთა ურდომ (თემურ ლენგი, XIV საუკუნე), რამაც დიდი დაღი დაასვა საქართველოს ეკონომიკურ და ისტორიულ განვითარებას. მიუხედავად ამისა, მაინც გადარჩა ბევრი მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლი, რომელიც დღესაც ინარჩუნებს მეცნიერთა, ტურისტთა და მოგზაურთა ინტერესს.

დარიალის ხეობისადმი ინტერესი განახლდა მე-18 საუკუნის ბოლოს, როცა ის რუსეთისა და სამხრეთ კავკასიის ძირითად დამაკავშირებელ მაგისტრალად იქცა და სტრატეგიული მნიშვნელობა მოიპოვა. იმ დროიდან დღემდე, იგი საქართველოს სამხედრო გზის სახელწოდებით არის ცნობილი. დარიალის ხეობით მიმოდინდნენ პოლიტიკური, დიპლომატიური და სამხედრო მისიები, გადაადგილდებოდნენ ჯარები. ამ გზაზე გაუვლია მრავალ გამოჩენილ ხელოვანს - ქართველ, რუს და სხვა ეროვნების მწერლებს, მხატვრებს,

მუსიკოსებს. დარიალის ხეობით მოხიბლულნი ისინი თავიანთ განწყობილებას გამოხატავდნენ პოეტურ და პროზაულ ქმნილებებში, გრაფიკასა და ფერწერულ ტილოებში. საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა ლიტერატურული და ფერწერული ნაწარმოებები. რეგიონში მრავლად არის საქართველოს ძველი და ახალი ისტორიის ამსახველი კულტურული ძეგლები: მემორიალები, სკულპტურული კომპოზიციები, მონუმენტები; ტრასის გასწვრივ და მახლობლად განლაგებულია ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ქართული ძველი არქიტექტურის ძეგლები: ცეცხლის ჯვარი, სიონი, გარბანი, გერგეტის სამება, სიონის ციხე, დარიალის ციხე. ყოველივე ეს, ცხადია წარმოადგენს მკვლევარების, ტურისტებისა და მოგზაურების ინტერესის საგანს. ხშირ შემთხვევაში, ჰიდროტექნიკური ნაგებობები განლაგებული ანალოგიურ ლანდშაფტურ გარემოში ხდება ტურისტთა დათვალიერების ობიექტი, როგორც ამას ადგილი აქვს მსოფლიოს სხვა ქვეყნებში- ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს შერწყმულს ლანდშაფტთან, თავისი ხიბლიც კი შეიძლება ჰქონდეთ. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ: ზაჰესი, ორთაჭალჰესი, ჟინვალჰესი, ალაზანჰესი და სხვა. ასეთი ტიპის ჰიდროელექტროსადგურები ხდებიან ტურიზმის ახალი მიმართულების- „ინდუსტრიალური ტურიზმი“-ს ობიექტები. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ არსებობს მრავალი ცნობილი ფერწერული ტილო, სადაც საწარმოო პეიზაჟი ან ობიექტი წარმოადგენს გამოჩენილი მხატვრების შთაგონების წყაროს.

გაკვირვებას იწვევს ოპონენტთა აზრი იმის შესახებ, რომ თერგზე ჰიდროელექტროსადგურის აგების შემთხვევაში, ილია ჭავჭავაძე და ჩვენი სახელოვანი წინაპრები დაკარგავდნენ განწყობილებას და შთაგონების წყაროს დარიალის ხეობის მიმართ.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი პროგრესული მოღვაწენი, როგორც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი, თერგზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის წინააღმდეგნი ყოფილიყვნენ. ეს საკითხი, რბილად რომ ვთქვათ, რიტორიკული და ძნელად გასაგებია, ამიტომ მისი განხილვა უხერხულად გვეჩვენება.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ თითქმის ორი საუკუნის მანძილზე, დარიალის ხეობა მძიმე ანთროპოგენული წნეხის ქვეშ იმყოფება. მიმდინარეობს ავტომაგისტრალის და ადგილობრივი გზების, ხიდების, გვირაბების, მილსადენების, ელექტროგადამცემი ხაზების, საყოფაცხოვრებო და ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ადგილმდებარეობა მოკლებული იყო ყურადღებას და საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება ხდება მდინარის ნაპირებზე. საჭიროა თუ არა ყოველივე ამის განვითარება? აქვე, უნდა განვიხილოთ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაც.

პასუხი ერთმნიშვნელოვანია - აუცილებელია, მაგრამ ყოველივე უნდა ხორციელდებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპებით, მართვის მაღალი ხარისხით და გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციით.

ექსპერტები:

ნინო ქავთარია

ნ. ქავთარია

თენგიზ ლალიძე

თ. ლალიძე